UDC 364.05
SCOPUS CODE 1407
https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-89-94

ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი სერვისები ადგილობრივ თვითმმართველობებში

მარი წერეთელი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: maritsereteli91@gmail.com

რეცენზენტები:
რ. ქუთათელაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფალულტეტის პროფესორი
E-mail: r.kutateladze@gtu.ge
ზ. სოფრომაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფალულტეტის პროფესორი
E-mail: z.sopromadze@gtu.ge

ანოტაცია. აღნიშნული სტატია არის დაწერილი 2021-2022 წლის შერჩეული 7 მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების შეფასების-კვლევის საფუძველზე.

კვლევის ჩატარების მიზანი იყო „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღებიდან მეორე-მესამე წელს რამდენად პასუხობდა თვითმმართველობის სოციალური პროგრამები ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ აქცენტი მოსახლეობისა და მათ შორის ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამებში კეთდება ერთჯერად ფულად დახმარებებზე ან სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხარჯების დაფარვაზე. ბავშვთა უფლებების დაცვისა და ოჯახების მხარდაჭერის გაძლიერებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ოჯახის მხარდამჭერი არაფულადი ფორმების განვითარებასაც მუნიციპალურ დონეზე. მნიშვნელოვანია ბავშვთა და ოჯახის სერვისების განვითარების ამ ეტაპზე უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიცაა ოჯახების არაფულადი დახმარებები და კერძოდ, პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა მხარდაჭერა; დაცვა; დეცენტრალიზაცია; სოციალური უზრუნველყოფა; თვითმმართველობა.

შესავალი

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდა ადგილობრივი მთავრობების როლი და ჩართულობა ბავშვთა მხარდაჭერისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამებში. ამას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო ქვეყანაში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პოლიტიკა და ამის შედეგად სახელმწიფო მმართველობაში თვითმმართველობის როლისა და შესაძლებლობების გაძლიერება. მნიშვნელოვანი იყო ასევე მუნიციპალური სოციალური მუშაკების ქსელის ჩამოყალიბება და ბავშვთა მხარდამჭერი სოციალური პროგრამებისა და სერვისების განვითარება მუნიციპალიტეტების დონეზე.

ადგილობრივი თვითმმართვლობების როლისა და შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მოცანაა (1). ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზნებია: ა. თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში; ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით და გ. სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება. ამ სტრატეგიის ერთ-ერთ პოზიტიურ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბოლო წლების განმავლობაში ცენტრალურად დაფინანსებული სოციალური დაცვის პროგრამებთან ერთად მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჯანდაცვისა და სოციალური მიზნობრივი პროგრამების, მათ შორის ბავშვთა მხარდამჭერი პროგრამების, რაოდენობისა და დაფინანსების მოცულობის ზრდა[1].

ძირითადი ნაწილი

სოციალური და კერძოდ ბავშვთა სერვისების მუნიციპალურ დონეზე განვითარებისათვის საეტაპო მნიშვნელობის გადაწყვეტილებად უნდა შეფასდეს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტის დონეზე, რისი იურიდიული საფუძველიც გახდა ბოლო წლებში მიღებული კანონები: „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“ (2) და კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ (3). კოდექსმა განსაზღვრა სამართლებრივი გარანტიები ბავშვთა დაცვისა და გაძლიერებისათვის, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ბავშვებთან დაკავშირებული ვალდებულებები და უფლებამოსილებები. კანონმა „სოციალური მუშაობის შესახებ“ განსაზღვრა სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპები, სოციალური მუშაკის სამართლებრივი სტატუსი, სოციალური გარანტიები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

დღეისათვის უკვე ორ წელზე მეტი გავიდა, რაც სოციალურმა მუშაკებმა დაიწყეს მუშაობა. მათი საქმიანობა ძირითადად უკავშირდება სოციალურ სფეროში და კერძოდ ბავშვთა სოციალური დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული კომპეტენციების შესრულებას[2]. სოციალური მუშაკები ახდენენ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭი-

[1] მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამ მიმართულებით ხარჯების ზრდა ასევე განპირობებული იყო კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში გაზრდილი სამედიცინო და სოციალურ საჭიროებებით.

[2] კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ მუხლი 56

როებების განსაზღვრასა და შეფასებას, უზრუნველყოფენ ბენეფიციარებისთვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას.

სოციალური დაცვის ცალკეულ მუნიციპალურ პროგრამებში დახმარების საფუძვლებს შორის უკვე გაჩნდა სოციალური მუშაკის მიერ ოჯახის შეფასების დოკუმენტი და ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა. თუმცა ამ პროგრამების შესწავლით დგინდება, რომ ეს გამოცდილება არაერთგვაროვანია. განსხვავებულია მუნიციპალური სოციალური დაცვის პროგრამების სტრუქტურა და ადმინისტრირების წესი (მაგ. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, გაცემის საფუძვლები, წარსადგენი დოკუმენტაცია, ფულადი დახმარებების ოდენობა და პერიოდულობა). განსხვავებულია ასევე როგორც მუნიციპალური სოციალური დაცვის მუშაკების რაოდენობა (თუმცა არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის ორზე მეტი), ისე მათი დატვირთვა და სამუშაო პირობები. ამდენად, ზოგადი სურათის წარმოსადგენად, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილობრივ თვითმმართველობებში საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების შემუშავება, შეირჩა 7 მუნიციპალიტეტი და განხორციელდა მუნიციპალიტეტებში სოციალური დაცვის, მათ შორის ოჯახების გაძლიერების არსებული მუნიციპალური პროგრამების ანალიზი.

ჩატარდა :

ა. სამაგიდო კვლევა

კვლევის ფარგლებში მოხდა შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მოქმედი სოციალური დაცვის პროგრამების ანალიზი, კერძოდ, ამ პროგრამების სამიზნე ჯგუფები, დახმარების მიღების საფუძვლები, დახმარების ფორმები და დაფინანსების მოცულობები. ასევე შესწავლის საგანს წარმოადგენდა ბოლო პერიოდში სოციალური და, კერძოდ, ბავშვთა დაცვის მიზნით ჩატარებული სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და კვლევის შედგები.

ბ. ფოკუსირებული დისკუსია

ეს დისკუსია ჩატარდა ჯგუფში, სადაც წარმოდგენილი იყვნენ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მომუშავე სოციალური მუშაკები. კვლევა ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუს მეთოდით. დისკუსიის მიზანი იყო რესპონდენტების დამოკიდებულების გარკვევა იმ პოზიტიური გამოცდილებისა და პრობლემების მიმართ, რომელიც დღეისათვის არსებობს მუნიციპალურ დონეზე მოქმედი ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სოციალური მუშაკების ქსელში და მუნიციპალური სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტების ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსება.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები შვიდივე შერჩეულ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული. 2022 წლის ბუჯეტების პროექტებში სოციალური დაცვის ხარჯები მთლიანი მუნიციპალური ბიუჯეტის საშუალოდ 8,48% პროცენტს შეადგენს, რაც ერთ სულზე მოსახლეზე გადაანგარიშებით საშუალოდ 35,23 ლარია

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლების ზრდის მიუხედავად ჯამური ხარჯი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრან-

სფერების შემცირების შედეგია. ამის მიუხედავად მუნიციპალური სოციალური ხარჯი ბოლო სამი წლის განმავლობაში მდგრადი და მზარდი საბიუჯეტო დაფინანსებით ხასიათდება, რაც ასევე გამოიხატა სოციალური დაცვის ხარჯის მნიშვნელოვანი პროცენტული ზრდით ბიუჯეტის მთლიან ხარჯში.

შერჩეულ მუნიციპალიტეტებში სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების მთავარი სამიზნე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებია: ღარიბი ოჯახები და მათ შორის პრიორიტეტულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სიაში რეგისტრირებული ოჯახები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარტოხელა მშობლები; მრავალშვილიანი ოჯახები; სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული და საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი ოჯახები; ასევე ოჯახები, რომლის წევრსაც ძვირად ღირებული და, ხშირად, მუდმივი სამედიცინო მომსახურება ესაჭიროება. პროგრამის ბენეფიციარები არიან, აგრეთვე, ვეტერანები და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული მებრძოლების ოჯახები; ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის მონაწილეები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სოციალური სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, მაგ. დღის ცენტრები; ხანდაზმულთა სახლები; სარეაბილიტაციო ცენტერები შშმ ბავშვებისთვის. თუმცა სარგებლის მიმღებთა კრიტერიუმები არ გამორიცხავს დახმარების მიღების შესაძლებლობას სხვა ჯგუფების მიერაც (მაგ. მერიის თანამშრომლის ან დეპუტატის შუამდგომლობით).

სოციალური დახმარება გაიცემა, როგორც წესი, ერთჯერადი ფულადი დახმარების ფორმით ან ხდება სამედიცინო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება. თუმცა არსებობს ფულადი დახმარებები, რომლებიც გაიცემა ყოველთვიურად, კვარტალურად, ან სეზონურად (მაგ. კომუნალური ხარჯების ანაზღაურება, ან შშმ ბავშვების რეაბილიტაციის ხარჯები და სხვა).

ფულადი დახმარების საფუძველია, როგორც წესი, ოჯახის მიმართვა, გარდა კონკრეტულ თარიღებთან დაკავშირებული გასაცემლებისა (9 მაისი, 26 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 17 ოქტომბერი). გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება ოჯახის სოციალური სტატუსი (ქულა) და/ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა (შშმ სტატუსი, დიაგნოზი, მაგ. დიალიზი, ან აუტიზმი) და არსებული საჭიროება.

არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდიის ფორმით გაიცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სოციალური სერვისებისთვის, უფასო კვებისთვის, შეშის მოსამარაგებლად, ტრანსპორტირებისთვის. ამის მაგალითია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სოციალური მომსახურების ორგანიზაციების დაფინანსების ფორმით: დღის ცენტრების, ხანდაზმულთა სახლების შინ მოვლის პროგრამების ბენეფიციარებისთვის, მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირება ან დიალიზით მოსარგებლეთა ტრანსპორტირება სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებამდე და უკან.

გაცემული ფულადი დახმარება შესაძლოა იყოს როგორც მიზნობრივი, ისე პირდაპირი ფულადი დახმარების ფორმითაც, მაგალითად, ბინის ქირა, სასკოლო ნივთები, მედიკამენტები ან სხვა სამედიცინო საჭიროებები, დამხმარე ინვენტარი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გასული წლის განმავლობაში სოციალური დახმარების საფუძვლებს შორის გაჩნდა სოციალური მუშაკის მიერ ოჯახის შეფასების დოკუმენტი ან/და

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საჭიროებები.

დასკვნა

1. როგორც შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ანალიზი გვიჩვენებს აქცენტი მოსახლეობის, და მათ შორის ბავშვიანი ოჯახების, სოციალური დაცვის პროგრამებში კეთდება ერთჯერად ფულად დახმარებებზე ან სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხარჯების დაფარვაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ ბავშვთა უფლებების დაცვისა და ოჯახების მხარდაჭერის გაძლიერებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ოჯახის მხარდამჭერი არაფულადი ფორმების განვითარებას მუნიციპალურ დონეზე.

2. მიშვნელოვანია ბავშვთა და ოჯახის სერვისების განვითარების ამ ეტაპზე უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიცაა ოჯახების არაფულადი დახმარებები და კერძოდ, პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა.

ოჯახის მხარდაჭერა შეიძლება განიხილებოდეს როგორც სერვისები და ინტერვენციები, რომლებიც აძლიერებს მშობლების უნარებს იზრუნონ შვილებზე, დაგეგმონ და მართონ ოჯახის ბიუჯეტი და ყოველდღიური პრობლემები, გაიზარდოს ოჯახების მდგრადობა კრიზისული სიტუაციების მიმართ.

ასეთი სერვისები და პროგრამები ეხმარება ოჯახებს შეძლონ ისეთი პრობლემების პრევენცია ან ეფექტურად მართვა, რაც უკავშირდება შვილების აღზრდას, განათლებას, ჯანმრთელობას, უმუშევრობას, ოჯახში რომელიმე წევრის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, ოჯახში ძალადობას, ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას.

ფულად დახმარებასთან ერთად, ოჯახების გაძლიერებაზე ფოკუსირებული სერვისები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ოჯახებისთვის, სადაც ჯანმრთელობის, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებია, ძალადობის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის; ოჯახები, სადაც მშობლები და ბავშვები ბოროტად იყენებენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს; სადაც ბავშვები რეგულარულად არ დადიან სკოლაში და სხვა.

ლიტერატურა

1. Government of Georgia. (2019). *On the approval of the 2020-2025 decentralization strategy and the 2020-2021 action plan for the implementation of the decentralization strategy. Resolution No. 678 of December 31.*
2. Parliament of Georgia. (2019). *Child Rights Code.*
3. *Law of Georgia on social work.* (2018).
4. Geostat. (2022). *Census of population according to regions and self-governing units.* Retrieved from: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba.
5. *Baghdati Municipality Council Resolution #21. On the approval of the 2022 budget of Baghdati Municipality. (2021).*
6. *Zestafoni Municipality Council Resolution #22. On approving the 2022 program budget of the local self-governing unit of Zestafoni municipality.* (2021). Retrieved from:
7. https://matsne.gov.ge/ka/document/download/5309069/0/ge/pdf.

8. Terjoli Municipality Council Resolution #21. On the approval of the 2022 budget of Terjoli municipality. matsne.gov.ge. [Online] 12 14, 2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5307044?publication=0.
9. *Tkibuli Municipality Council Resolution #3. On the approval of the procedure for providing social assistance from the 2022 program budget of Tkibuli Municipality.* (2022).

UDC 364.05
SCOPUS CODE 1407
https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-89-94

Support Services for Children and Families with Children in Local Governments

Mari Tsereteli Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava Str.
E-mail: maritsereteli91@gmail.com

Reviewers:
R. Kutateladze, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: r.kutateladze@gtu.ge
Z. Sopromadze, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: z.sopromadze@gtu.ge

Abstract. This article is written on the basis of the assessment-research of social programs of selected 7 municipalities in 2021-2022.

The purpose of conducting research was to extent self-governmental social programs, responded to the needs of children and families with children in the second-third year after the adoption of the "Child's Rights Code".

As a result of the research, it was revealed that the analysis of social security programs shows that the emphasis in the social security programs of the population, including families with children, is on one-time financial assistance, or on covering the costs of medical and social services. At the municipal level, at this stage of the development of children and family services, it is important to pay more attention to such an important direction as non-monetary support for families and, in particular, support for positive parenting.

Keywords: child support; decentralization; protection; self-government; social security.

განხილვის თარიღი 16.11 .2023
შემოსვლის თარიღი 29.11.2023
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.12.2023